

3.8  
1916/3

220



# თეატრი სსოპრებმა

სათეატრო სალიურატორი ქორნალი

№ 31 - 1916 კ ვ ს ი  
კვირა, 31 მაიათჳ 12 კაპ.

წამლ. მიოთხე  
გამოცემისა  
ქორნალი წლ. 5 მ.  
ნახ. წლ. 3 მ. მისა-  
შართი: თბილისი  
„თეატრი და ცხოვ-  
რება“ იოსებ იმე-  
დაშვილს.



## ვაჟა-ფშაველას დაუბე- ჭდავი ლექსი

დარო ზურაშვილის აღბომში ჩაწერაი, 1913 წ.)  
ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთალა. —  
შენი ნათქვამის ქართულით მამე მგტისმეტალა!  
ნეტვე სულ გვრე გაუბნა, როცა ვიქნებოთ ერთალა:  
მოკლულს, ზნელს გულსა ნათელა თავს დაადგება სვეტალა,  
ვცოცხლდები, აწმყოს ბეჩავსა მე ვცნობ მომავლის ბედალა  
ხელში ავიღებ ჩონგურსა ლექსების დისაზღერტალა. —  
ვლოცულობ ნამდვილ ქართველ ქალს ცა-ხმელთ  
მფლობელთან ერთალა.

ვაჟა — ფშაველა

ვაჟა ფშაველა  
მკვლევრიდან წლის თვის შე-  
სრულების გამო



**მკათათვის 31**

**ახალი** ომის ღმერთი არა სცხრება **მსხვერპლი.** და ჩვენს ქვეყანას ახალ მსხვერპლსა სთხოვს.

მარიამობის თვის 15—იდან სამხედრო სა- მსახურში იწვევენ წითელბილიეთიანებს 1893 წ. და ლურჯბილიეთიანებს 1901 წ. აქედ.

ჯერ დღესაც-კი მამაკაცთა მხრით სოფე- ლი ძალზე შეთხლებულია, ხოლო როცა ამოდენა ხალხს გაიწვევენ, მაშინ სოფელში ალაგ-ალაგ მამალივით თუ დიაცივლებს კა- ცი...

სოფელი დარჩება ქალების, ბაღებშია და მოხუცთა სინაზარა...

მეურნეობა, მრეწველობა, აღებ-მიცე- მობა ჩაიფუშება...

ახალად ფეხ-ადგმული კოოპერატიული მუშაობა, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგო- ბათა საქმიანობა წაიბოროტებენ...

განელდება კულტურული მუშაობაც: თე- ატრი, წიგნთ-საცავ—სამკითხველო, სკოლა, ბეჭდვითი საქმე და სხ...

მართალია დიდია გლებთა მეურნეობის მნიშვნელობა: პურ-ღვინის მოვლა-პატრონობა, დიდია აღებმიცემობისა და, საზოგადოდ, ნი- ვთიერი ავლადიდების წესიერად წარმოება— კუქის საზრდოს შექმნება, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია კულტურული მუშაობა—სუ- ლიერი საზრდოს მოპოვება, ვინაიდან „არა მხო- ლოდ პურითა ცოცხალ არს კაცი...“

ომიანობამ-კი ყოველივე ეს მიშალ—მ შალა.

ამიტომაც გვმართებს სულიერი სიმტკი- ცის გამოჩენა და შინ დარჩენილ ძალთა გაერ- თიანების გარდა ქალთა ამუშავებაც...

თქმა არ უნდა, ომის ღმერთმა ჩვენს ქალ- დიდი მსხვერპლი მოსთხოვა: წაართო ქმარ- შვილი, მამა, ძმა,—ბევრს ყველა ერთად, მა- გრამ მაინც სასოწარკვეთილება არ შეზღუდეს ქართველ ქალს, რომლის წინაპარი სულს სიმტკიცითა და შავბედთან შედგარ ბრძო- ლით იყო ცნობილი...

დღეს თითქმის უკაცოდ დარჩენილ ქა- ყანას ქალმა უნდა უპატრონოს: საოჯახო- სამეურნეო და საკულტურო—საზოგადო სა- შეებს გაუძღვეს.

ქალმა თვისი სათნო ნასიათით და მი- სიყვარულე გულით უნდა შეაკავშიროს ეს დარჩენილი, დღემდე ჯგუფურ კინკლაობის მოსაქმე—განზნეული კულტურული ძალე- სათეატრო საქმეში მამაკაცის მაგიერობა ვა- წიოს, სწავლისა და წიგნთ-საცავსამკითხვე- ლთა საქმიანობა არ ჩააქროს, დასასრულ— ასოთაწყობისა თუ სტამბის სხვა ხელობის შესწავლას ყურადღება მიაქციოს...

დაე, ომის ღმერთმა მსხვერპლზე მსხვე- რპლი მოგვთხოვოს, ჩვენ სულით ნუ დავე- ცემით, გარჯა—შრომა გავიორკევით, რო- კერაში ცეცხლი არ ჩავგიქრეს და ბრძოლი- ველიდან დაბრუნებულთ ოჯახი მშვიდობა- ნად დავახვედროთ...



გაე უშაველა წმ. ნინოს ლაზარეთში (გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო)





მხახიობი ვანო ბარგველი

ათომის დასის რეჟიორი, მიმდინარე სეზონში ბათომის სცენაზე მუშაობს და თავისი მუკათობით აღკლებორე კართული წარმოდგენების წესიერად მართვას ძლიერ ხელი შეუწყო. მ მარიაშობის თვის მისი ბენეფისია.

# ვაჟა-პთის შიპრი

(ესკიზი)

საქართველოს მრავალსახლიანა ბუნებამ იგვეცა ვაჟა—ვაჟამ თავის მხატვრულ შემოქმედებაში მოგვეცა საქართველოს ბუნება. ვაჟამ შეგვასწავლა ბუნება, სწორედ რომ ესთქვათ მოგვიწოდა ბუნების წილში. ვაჟა—ბუნების პირმშო შვილია. მან იცის ძალა, უზილავი ძალა ბუნებისა. ის გრძნობს მის სიმშენიერეს და ამიტომ მოგვიწოდა მასთან სათამაშოდ. ვაჟა განიცდიდა ბუნებას, მძლედ განიცდიდა, მაგრამ იმასთანვე არ შეეძლო ეს განცდანი, ტკბილი განცდანი კეთილშობილი სულიისა არ გაეზარებნა ჩვენთვის. მან ღრმად განცდილ ხელოვანის გამოცდილობით გამოპყვითა ბუნების სახეობა ფოლიადისებურის სიმტკიცით. მან განასახიერა ბუნება. მაგრამ საქართველოს ბუნება ხომ მრავალსახლიანია: ვალკიშული ნაზო ველი და მასზე მონა, ვარდ შეყვარებულ გიჟმაჟი მდინარე; მოქანავე და მოლივლივე ყვავილებით შემკული მისი გულ მკერდი, მრავალფეროვანი ხასხასა მწვანე მდელის ფონზე წარმოცად აბიბინებული. ამწვანებული ნაპირები, მდინარის უტყვი თანამგზავნი, თამამდ მოთამაშენი და მოარ-

შეენი, სდა მდინარის ოდნავ აქაფებულ ტალღებში ტალღათა წელი ამბორი და თითქოს კენესა, თითქოს სიცილი, თითქოს საყვედური, როგორც შედგეი მწარ—ნეტარ განცდათა... ატებილი ტყე-ქალები და მუდმივი მათი სიმშენიერე და მუდმივი მათი მზრუნველობა, გამახალისებელ მდინარის სიყვარულით გამოწვეული. წელი სიო, როგორც მათი მოტრფილვე და მზრუნველობით ამბორი და ჩაკონება გადაღელი, ოდნავ აკოკრებულ მდელის ოდნავი შეხებით და ყველა ამით გამოწვეული მდინარის ბუზღლუნი და წუწუნი: ყველა ეს ერთად შეკონილი, სანატრელი მზის სხივით ტურფა თაიგულად შეკრული და ორ ზღვის შუა ტურფა მდელიად ჩანასკელი.

მათი მფარველი ამაყი და შეუპოვარი მამა, გრამ უხეში და მრისხანე კავკასიონი და მათზე დროთა ვერაგობისაგან გაბატონებული ფრთხილად მყინვარი, მოდარაჯე მათი სიმშენიერისა და მოთაყვანე მათი სილამაზისა.

ყველა ეს ვაჟას სამშობლოა და ვაჟაც მასზე მომდერალი, მათი მოტრფილვე, მათი მოციქული ადამიანთა. ვაჟას პოეზია, ხომ იგივეა: იგივე გიჟმაჟი მდინარე. აყვებულნი მდელია და ცელქი სიო, მათ გულ-მკერდზე ლაღად მოცეკვავე. ტურფა ქალწულის სინაზით ოდნავ გადაღელი გულ-მკერდი და ვაჟაც მასზე ოდნავის ამბორით დაკონებული... მისი პირმშო...

ათას, ათიათას, ასი ათას ფეხებით შემკული ბუნება შეყვარებულთა საიდუმლოებით მოლიმარი, ანკარა გამქვირვალე ტალღებში სიფრთხილით მოქანავე და ვაჟაც მათი ერთგული, მათზე მზრუნავი, მათით შეყვარებული. ვაჟას უყვარს ბუნება, უყვარს ძლიერად. ყველა მათი მფარველი მრისხანე მთებია—ვაჟას სატრფიალონი და ვაჟაც მისი შემკობი, მათი შემყვარებელი, მთის ფიქრი.

ყველა ეს ერთად შეკონილი ვაჟას ტურფა სამშობლოა ატანჯულე ქათვლიკი კრთიას... ამ ტურფა მრავალფეროვან თაიგულად შემკულმა ბუნებამ მოგვეცა ვაჟა. ამიტომ ის ხან ნაზია, ვით ჩენნი სამშობლოს ქალწული ბუნება, ხან გიჟმაჟი ვით მდინარენი აძლავებულნი, ნაყურნი საღის ტინისა. ხან ლალია, ვით ცე-

ლქი სიო ვეჟას—სამშობლს წარმტაც ბუნე-  
ბის წაღზე თამამდ მიუკეცვე, ხან ბუმბე-  
რახია, ვით მშობლიური მყინვარი, მრისხანე  
და შეუპოვარი, ვით თერგი მყინვარის გულის  
ნადები მლაღადებელი. ხან ნადვლიანია, ვით  
ფიქრი მთების, მშობლიურ მთების ფიქრი-

— მშობელ ერის მომავალზე.

მისი პოეზია ხან გვიანებს და გვაგიჟ-  
მაყებს, ხან გვალაღებს და გვაკეკვივებს,  
ხან კი გვირისხებს და გვაბოროტებს და  
სწორედ ამამა ვეჟას ბუმბერაზობაც. იგი  
ერთგვარის ხელოვნებითა გვიხატავს ნახი ბუ-  
ნების სიღამაზეს, შეყვარებულ ბულბულთა  
საიდუმლო გულის ზრახვას—ბუნების ტრფი-  
აღს, ტყის საღობას. მისი ბუმბერაზობა ს,  
თერგის შეუპოვრობას, მყინვარის მუქარას  
დაუღვერობისთვის. ამ გვირად ვეჟამ ჯერ გა-  
გვაცნო ჩვენი ქვეყნის საიდუმლოებანი, მისი  
სიშვენიერე, მისი ბუმბერაზობა, მისი ტანჯ-  
ვა, მერე კი მოგვიწოდა სავაჟაკოდ და ფო-  
ლადისებური სიტყვით გავამხნევა, გვასწავ-  
ლა სამშობლოს მძლე სიყვარული. გავაცნო  
მისი ზრახვანი, გულის საიდუმლო ზრახვანი.

მან რა იგრძნო მშობელ ერის დაძაბუნება,  
საშველად მშობლიური მთები მოიშველა და  
ამაყი მყინვარის ძლიერებით და შეუპოვარ  
თერგის მრისხანებით გათამამებულმა, ძლიე-  
რად გადმოსძახა სამშობლოს მტრებს:

„სამშობლოს ანგის წაგართმევთ

ჩვენც ნურგინ შეგვეცილება

თორემ ისეთს დღეს დაჭაყრით

შეკლასნავ კი გაქცინება“...

ამ სახით გავამხნევა, გავავაჟაკა და  
მოგვაგონა, რომ ჩვენ არც ისეთი უძღურნი  
ვყოფილვართ, როგორცა ვგვგონია. რომ ჩვენ  
ყოველთვის შემწეობას გავგიწევს მრისხანე  
მთა—ვაჟას სატრფილო. თუ ასეა, მაშ, დღე,  
იმ დროს, როდესაც ვაჟა ჩვენის სახელოვან  
წინაპრების თანხლებით წამდგარია ძღვეამო-  
სილობის ღმერთთან და შესთხოვს:

„დამერთა, სამშობლო მიდგინე


ტანჯულ ქანთველი ვნათათა“

ჩვენ, გათამამებულგებმა ამ მფარველობით,  
წარვსდგეთ კაცობრიობის წინაშე და მრისხა-  
ნედ, ვაჟასებურის ვაჟაკობით გადავიხათ მი-

სივე ანდერძი—საყვარელ ვაჟას ან უტკობი, რომ-  
ჩვენც

„სამშობლოს ანგის წაგართმევთ,  
ჩვენც ნურგინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთს დღეს დაჭაყრით  
შეკლასნავ კი გაქცინება“

ლ. არაგვინი.



მწუხრის სიმღერა-

შუა ღამისას ვადასკეტიროდი ფაზისის მთ-  
ვლემარე ტალღებს და მღეროდი რახილ!

შენი სიმღერა ტირილი იყო.

შენ სტიროდი, რახილ!

მოგონებათა მთელი რიგი მწუხარე ჰან-

გათ ვაღმოსჩქეფდა შენს ხაგვითაგან.

განა ჰაერის ტალღათა რბევა ოდესმე

მიუტანს ძღვნად სიონის მწვერვალთ იმ მწუ-

ხარე ხმებს?!

განა ოდესმე იორდანის ტალღათა თვლემ-

მა იხილავს სიზმრად მწუხარე ასულს ისრა-

ელისას, მტირალს ფაზისის პირად?

რახილ! საუკუნეთა მსვლელობაში იწუ-

რება ტანჯვით გრძნობა ისრაელისა სამშო-

ბლოს მოგონებით კოლხეთის მთათა მწვერ-

ვალიდან წამონაქროლი ნიავი მუდამ სცილი-

ლობდა მოგზოვრებინა თქვენთვის სულის სი-

ღრმეში აგორებელი ნისლი მწუხარებისა...

მაგრამ მინც ვკლავ დასტირით სიონს

დაკარგულს.

და, ჰკითხე რახილ! ჰკითხე კოლხეთის ასუ-

ლთ: მათ მოგონებათა რვეულის ფურცლებზე,  
მწუხრის ცრემლებს ოდესმე ამოუქარავს თუ  
არა სიტყვა „კოლხეთი“?!

II

ნუ სტირი!

ნუ სტირი, რახილ. ნუ დასტირი ძველ

მოგონებათ

დივიწყე.

არ განახლებება და მსხვრეული სამხე-





აპლო მიკაველების. სოლომონიას აღარ ძა-  
ლუს ერის სამსხვერპლოზე კვლავ მიიყვანოს  
მედიდევ ძენი..

დივიწყე წარსულე, რახილ.

ღიმილით ვასხვიოსნებული სახე უფრო  
ქებს იმედით ჩემს სულს.

მე მსურს გიკქერდე მხიარულ რახილს,  
ომ შემეძლოს თქმა: ჯერ კიდევ ყოველივე  
დაუმარბახვს ისრაელს, მარტო წარსულით  
რ განუსაზღვრავს თვისი ბედი ისრაელის ერს.

რახილ! საბრალოა ის ერი, რომელიც  
ხოლოდ წარსულის დიდების ნანგრევში ეძე-  
ს თავისთვის ახალ საუნჯეს! —

III

დარბეული.

რად ეკრძალები ჩემს სიახლოვეს, ჩემს  
თელთა გამომეტყველებას? ისეთივე მწუხარება  
იგი, ვით ფარული ნადველი იის ფერ ჩრდი-  
ლად შენს წამწამთ ირგვლივ.

დაიმსხვრა სამსხვერპლო სიონის მთაზე.  
იერუსალიმის ნანგრევთა შორის, მრავალისრ-  
ღლის უკანასკნელი გმინვა გაიყინა ბაგეზე.

დაარბიეს, დაანგრის იუდეულთა ძეგლი  
სამეფო.

და მოგონება ამა დროისა გატირებს, რა-  
ხილ.

მეც წამართვის ჩემი სამშობლო. ვითი-  
სრაელი, წყეული და შეჩვენებული დავძრწი-  
ვარ, რახილ დარბეულია ჩემი სახლ-კარი და-  
ნგრეულია ჩემი სამსხვერპლო.

ჩემი ბედი შენს ბედს უახლოვდება.

მაგრამ სირცხვილით დავიწვიობდი, ჩემი  
გოდება, ჩემი ტარილი შებღლულ და შეგი-  
ნებულ თავისუფლების რომ მოვსმინა მტარ-  
ვალის, ჩემს დამრბევს.

IV

უცხო მხარეში.

მოგონებათა ნისლში ინაკვეთება მწუხარე  
ძმებე, რომლითაც მსურს აქ, უცხო მდინა-  
რის პირად გამოვიტირო სიკამაწვილის და სია-  
ხის დღენი.

ასე მოსთქვამდენ, რახილ, იუდელნი ბა-  
ხოლონის ტყეობაში.

მეცა მხვდა წილად უცხოთა შორის გო-  
ჩემს სამშობლოზე და რად უნდა

მრცხვენოდეს ჩემივ ცრემლების?

„გვიმღერე რამე მშობლიურ ჰანგზე, რომ  
გაიქარვით სევდა ნადველი“ ამ სიტყვებით ანუ  
გეშებდენ იუდეულთ ბაბილონენი.

მე კი თვით ფიქრსაც მიკრძალავენ ჩემს  
სამშობლოზე, უფლებასაც არ მაძლევენ მწუ-  
ხარე ჭანვით გამოვიტირო ობლობა ჩემი.

რახილ! ოპ, რომ გესმოდეს ახლა მწუ-  
ხარებით აღვსილი ჩემი სიმღერა, შენ ეტყუ-  
ლი მანდ ჩემს თანამოძმეთ: მე მესმოდა როგორ  
შგოდებდა იქ, უცხო მხარეში, უცხო მდინა-  
რის პირად თვის ტურფა კოლხეთს მწუხარე  
ვაჟი.

V

ვინ დამიტირებს?

ახლა, როდესაც უცხო მხარეში ვითვლი  
ჩემის სიცოცხლის უკანასკნელ წუთთ, კვლავ  
მომავონდა, რახილ შენი სიმღერა.

მომავონდა, თუ ვით შესწრაფი ბედს, რომ  
სიკვდილი გეწვეოდა უცხოთა მხარეს...

რახილ! ჩემი სამშობლო უცხო არ არის  
შენთვის და შენ უცხო არა ხარ მისთვის..

თუ ოდესმე სიკვდილი დავიხუქავს თვა-  
ლთ, შენივე მოძმენი მიგასვენებენ საფლავის  
კარზე, შენივე მოძმენი დაგაფრქვევენ ცრემლს  
უსულო გვაშზე.

მე-კი აქ ვინ დამიტირებს უცხოთა შო-  
რის?

სამშობლოს ცის სივრცეზე მოხეტიალე  
ღრუბლის ნაკვთებიც ვერ მომაწვდიან თავი-  
ანთ ცრემლებს.

ვინ დამიტირებს, ვინ დამიტირებს დღე-  
ნილს, წამებულს უცხოთა შორის?

მაგრამ რახილ! წყნარად... არავის ეს-  
მას..

უკანასკნელ სიცოცხლის წუთებს ის უფ-  
რო მიმწარებს, რომ ჩემს სამშობლოშიც...  
წყნარად.., გემსის ჩემს სამშობლოშიც არავინ  
მყავს, რომ დამიტროს.

არავინ ჩემთვის მხურვალე ცრემლს არ  
გაიმეტებს...

*მის. ხომალტის*

# ბრძოლის ველზე

ნაწევრი ზაქარია „მარსის გვირგვინი“.

## 1—ღამე

სიჩუმეა... მძინარ სოფელს ზღვ სუღარში ახვევს ღამე,  
ღრუბლის საფლავს დაუმარხავს ცის მნათობი მოკამკამე.  
შვებ ბურუსით ზარბაზნის კვამლს ბრძოლის ველი დაუფარავს.  
სრცევია, ყინვის მინა დაეკიდა მეგრძოლთ კარავს.  
სდუმს მიღამა... და ოდნავად სიო ფოთოლს აკანკალებს,  
დაქნულად დღის მეგრძოლნი—ძილი პარავს ყველას თვალებს.  
ზოგს ნაბადი დაუგია,—ზოგს ახურავს სველი ქურკი,  
სძინავს ყველას... და ჭკაიქ ოდნავ ბეჭუტავს სანთლის შუქი.  
აჰა, ქარმაც დაუბერა! ცას მოგლიჯა ღრუბლის ქსელი  
და კაშკაშა ცის მნათობმა გააშუქა ბრძოლის ველი.  
შორს აფრინდა ზე ყორანი, იქ კაბუკი ვილაც არის,  
ის ვერ ხედავს მთვარის კაშკაშს, აღარ ესმის სტვენა ქარის,  
მის ქაობში ჩაფლულ სხეულს ქარიშხალი აზრობს, ჰყინავს  
და ყორანი უმძღარი ტანს უძიძგნის, თავს დაფრინავს;  
პირი მიწით ამოვია, მოგლეჯია ფეხი ცალი,  
ცალი გვერდი გაქმული აქვს—ჩადგომია შიგნივ წყალი.  
მკერდზე ვანი გაძრობია—ზედ მიმხმარა სისხლი შვი  
და ძიძგნიან ყვავ ყორნები!.. ოხ, საწყალი! ოხ, ბედშავი!  
დასქნა მისი ყოფნის ვარდი, მის ყვავილი აღარ ჰყვავის...  
სიჩუმეა... მხოლოდ ისმის მოძახილი ბეღით ყვავის!..

## 2—ღამე

განთიადის მოციქულმა სხივით დასწვა ღამე შვი,  
დღეს ქვფინით მიეგება წყლის დუღუნი და ნიავი.  
წვიმს, ქარი ქრის, ცივა, დღეა... მზე კი მიინც აღარ ჩნდება,  
თითქოს მიწა ეზარება, თითქოს მიწას ერიდება!  
დაიქემა ზარბაზანმა და გაჩაღდა კვლავად ომი,  
იულიტება ორივე მხარე, ერთმანეთის სისხლის მღოში.  
ქეკავს, გვრგინავს ზარბაზანი, ცეცხლის აღში ტყვიებს ართავს,  
მარსი სისხლით გამოთვრალი ქეიფსა სწევს, ზეის მართავს!  
იწვის მიწა! იწვის ზეცა! ყუმბარები გლეჯენ ვლებს!  
ზარბაზანი ცაში კლანქს ტყვიისა და ცეცხლის გველეხს?  
მიწა, მტვერი, ტყვია, კვამლი არეულა ერთად ყველა!  
ცა ცეცხლს აფრქვევს! ხოცვა, ჟღერა, ზუზუნია! ცივა ბნელა!..  
ზოგს გულ მკერდი გაუფატრავს, ზოგს მოგლიჯა ტყვიამ მკლავი,  
ყიჟინა! ქეკა! გრგვინა! ოხვრა! კვნი ა გულსაკლავი!..

## 3—მომხარბი

შევეწვიე ზარს ბრძოლისას,—ის ციური ხმა მგონია,  
ტბილ მუსიკად მწვინება ჯოჯოხეთის სიმფონია.  
ვიბრძვი მედგრად, თავ-განწირვით; გადალახვა მსურს მთა ბარის,  
შური, შური მსურს ვეძიო მკერდ-გაობილ მეგობარის!  
არ ვიბრძოლო?—მი ძმე მტერი და სამშობლო მაგონდება:





მე გმირი ვარ—ძღვევის ღმერთი, ჩემს სახეზე შიში კვდება!  
 ვავიწორე თავი ჩემი და სიკოცხლე სათაყვანო,  
 საიქიოს მივალ, მაგრამ მინდა მტერიც წაიძღვანო!  
 სამკვეყნო რა ვიფიქრო ბრძოლის ქინით ანათროლომა?  
 ყველაფერი დამივიწყა ყიყინამ და ცეცხლის ბოლმა.  
 ჩემს გარშემო კენესა ისმის და ზუზუნნი შემზარავი!  
 მეგობარნიც დამხოცია—აღარ დამრჩა აღარავინ...  
 მაგრამ მაინც არ მეშინის!

ებრძვი...

თვალში მოსთელდება...

ველარ მნახავთ, მეგობრებო! ო. ხ. . სიკოცხლე კვდეთ-ემა, კვდეთ-ემა-მ... .

—**ბრძოლის შემდეგ**

დასცხრა ომი. კვლავ ქვეყანას შავ სულარში ახვევს ღაქე.  
 ხანდაზმულად ველს აშუქებს ცის მნათობი მოკამკამე.  
 დახოცილთა უძრავ გვაშით დაფარულა ბრძოლის ველი;  
 ვინ ძმას ეძებს, ვინ მეგობარს, ყველას ტანჯავს სევდა მწველი  
 აგურ გულ-ცივ დედამიწის სარეცელზე ვილაც კვდება.  
 და ვინ იცის სიკვდილის წუთს რა სურს, რაღა ენატრება  
 აგურ მიწაც კი ინძრევა! დააკვირდით: გმინავს! კენესი!  
 სისწული ხომ არ არის: ქვეყნის სევდა მიწას ესმის?!  
 — არა, არა, მეგობარნო! იქ—ორმოთ განაქვრი.  
 ომის მსხვერპლად შეწირული რომ დამარხონ მასში ვერი.  
 და თვით მიწაც რომ ინძრევა, რომ ინძრევა თვით საფლ ვი,—  
 იქ—სიკვდილი სიკოცხლეს ჰკლავს, იქ—სულს ებრძვის მომაკვდავი!  
 იქ—ფოთლების ასოვებით ქარი აწერს მინდორ-ტყე-ველს:  
 „აღარ გახსოვთ არა კაც კლა?!“—რაღ ივიწყებთ ნახარვევლს!“

სიმ. წიგელი

**ვაჭა-ფშაველა სიუჟეტული**

(ამხანაგის მოგონება)

ახლანდელ გარდაცვალებულ მასწავლებლის  
 ალ. ნათაძისა \*)

მგონი 1879 წელს მოხდა ეს ამბავი, რა-  
 თაც მკითხველი ქვეით წაიკითხავს.

\*) განხეხებულმა ალ. ნათაძემ ეს მოგონება სა-  
 ლაგოდად ჩვენის ჟურნალის „თეატრი და ცხოვრები“-  
 ში დასწერა და გამოგვიგზავნა შემდეგი წერილითურა:  
 „აჲ იოსებ! ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდის ვერ მო-  
 ვაწოდე ეს მასალა. როდესაც მარჯვეთ დანახოთ, მა-  
 შინ დაბეჭდეთ, მხოლოდ ამასა გთხოვთ აღნიშნოთ აქ,  
 რომ პირველი ჩემი მოგონება ვაქას შესახებ დაბე-  
 ჭდილი იყო „სახალხო ვაჭათში“ საიუბილეო წარმო-  
 კების წინა დღეებში მგონი თიბათის შუა რიცხე-  
 ში. საწყალს ძალიან გაუხარდა იმ ჩემი ნაწერის წა-  
 თხვა და მაღლომა მითხრრა მოგონებისთვის.“

შენი ალექ. ნათაძე

იენისის პირველ რიცხვებში დიდი სი-  
 ხე პაპანაქება იღვა: გამუდმებით ქროდა ცხე-  
 ლი ქარი გოღვისაგან ქართლში ხმებდა  
 და იწვებოდა ახლათ დაბურებული ქირან-  
 ხული, ბალი და ველი. ტყე და ღრე. დიდს  
 საგონებელში ჩაცვივდნენ სოფლებები და  
 აღარ იცოდნენ, როგორ ეშველათ თავისა-  
 თვის და გოდებითა და რისხე-თა კრულავდნენ  
 თავიანთ გაჩენის დღეს, თავიანთ არსებობას.

მაშინ მე და ვაჭა-ფშაველა გორში ვსწა-  
 ვლობდით. საოსტატო სემინარიაში. იმ ხანებ-  
 ში ეგზამენებისთვის ვემზადებოდით, მაგრამ  
 ვი ამ მზადებას: აქაც ისეთი სიცხის ბული  
 ტრილიბდა, რომ სული ეხუთუთოდა ყველას  
 და გარეთ გამოსვლა ვერავინა ჰმედავდა. ან  
 მზე დაკრავდა და ანარაღა სიცხიდან დაო-  
 სებული საჩრდილობელს მოგაძებნიებდა. ქუჩა-



ჩაში იშვიათათ თუ შეხედვბოლით ვისმე, აი სწორეთ ამ ჯოჯოხეთ დღეს, შუა დღისას, საშინელი ზარების რაკ-რუკი შემოგვესმა. ხალხი ეხლა-კი ამოძრავდა, გაქცევა-გამოქცევა იკადრა იმის შესატყობლათ, თუ რა იყო. მიზეზი ასეთი გახშირებული ზარების რეკისა ჩვენი ღირეკტორი სემიონოვის გამოვარდა. ბალკონზე და გაღმავება იქვე ახლო მდგომ მე და ვაჟა-ფშაველას:

— წადით ეხლავე და გაიგეთ, თუ რა უბედურება მოხდა და შემტყობინო ყვილაფერი—იქნება ჩვენი დახარებაც საქირო იყვეს ვისთვისე რა. ჩვენ მაშინათვე ვაიქეცით; უკან წიწროლებივით სხვა მოწაფეებიც წამოგიყვნენ. გორის გრძელი ქუჩა ჩავლახეთ და მივედით მტკვრის პირას. ისე თქვენს მტერს მოსწყუდეს წელი; როგორც ჩვენ შევწუხდით და დავდრიდან დით სანახორით, რაც სანახავი ჩვენ წინ გადაგვეშალა: მთელი ატკვარი, ხიდი გორისა, დიდს სამეფო ქუჩა მოდებული იყო კალიათი. ასეთი აუარებელი რიცხვი ამ საშინელი მწერის ზღაპარში არ გეგონების და კიღშით არ აიწერების! თვლის დახამაშებაში მთელს გორს მოედო ეს საშინელი მტერი. სიარული შეუძლებელი სდებოდა ჩვენ მიანც მოეჭუსლეთ სემენარისკენ და ყველაფერი ვაცნობეთ ჩვენს ღირეკტორს, მთელი სემენარისის მოწაფეები

ხის ტოტებით ხელში გადაველობეთ ამ ურიცხვ ჯარს, რომ სემენარისის ბალი დაგვეფარა ამათ შემოსევისგან და მართლაც შევანერეთ მთი მოძრაობა სკოლის არე-მარეში. კალია მაღე შეესია გორის ყანებსა და ბაღებს, მისი ტალღა თითქმის სოფ. ზერშუეთს გასცილდა და ხელთუზნის მინდვრებს მოედო მთელი ხალხი ფხვზე დადგა. მათ შორის მე და ვაჟა-ფშაველა იქ ვიყავით. აღმინისტრაციაც ამოძრავდა:

კალიისთან საბრძოლველათ ჯერ ახლო-მახლო სოფლებები და მერე შორიდგანაც გამოიყვანე. ამ არეულობაში ვაჟა-ფშაველა თვლიდგან ამცილდა, მისი გზა და კვალი ვეღარ გავიკვირე და დღონებული და დამარებელი ამ მწარე სანახაობით სემენარიაში დაებრუნდი. ვაჟა-ფშაველა ღამე დაბრუნდა

მთლათ გაოფლიანებული და შეწუხებულ ამან ყველაფერი გვიამბო: იგი თურზე ჩამგარა მუშებში და იმათთან ერთათ უთხრა ორმოები, აუარებელი რიცხვი კალიებისს უყრიათ ამ ორმოებში და მერე მიწით ამუხესით. ამ ლაპარაკის დროს სემეინოვიც დაწრო ამგვარის საშუალება ბრძოლისა ქუაშიც უჯდა და მოახდინა განკარგულება—დიღლით საათზედ სველა ჩვენგანი ბართათ და ნიშნით წავსულიყავით მინდვრებში და გლმბთან ერთათ ჩვენც მონაწილეობა მოგვეცა სერთო მტერთან ბრძოლაში, ჩვენ სიამოტობით დავთანხმდით. ბელადებათ ვაჟა-ფშაველა და რამდენიმე სხვა მოწაფე ამოგვირჩია და უნდა გავეყავით რაზმებათ და ყველა განკარგულებას დავმორჩილებოლით. მე სემიონოვი და არისტო ქუთათელაძე ვარაზში მოვხვდით.

ალ. ნათაძე

(გაგრძელება იქნება)



პრაპ. მერაბ სოლ. ანდრონიკაშვილი  
† ოსმალეთის საზღვარზე.

\* \* \*  
სქენება ყვავილი ვარდისა, თაფრაქ-ნდრული, მტირალი, ბულბულის ბაღილდ რომ ყვავი დასჩხავის ოხერ-ტიალი თუქუნა წვიმის ნაცლადა ენთხევა შხაპის ფილისი..

ივანე ტყეშელაშვილი





მსახობ-მწერალი ვალ შალიკაშვილი  
მისი ზუგდმუთფობის კამო  
(სურათი ვადლებულია 5 წ. წინად)

### უარი უგლოთ

## ვალ, შალიკაშვილს

როგორც მკითავველთ მოეხსენებთ, ჩვენი სენი-  
სა და მწერლობის ნაამდარი მუშაკი ვ. შალიკაშვილი  
საზაფხულოდ ცემში ცხოვრობდა, სადაც მოიხედა კი-  
დეც და რჩენის გზას დაადგა. გარნა ხელმოკლეობაჲ  
აიძულა მყუდრო ცხოვრებისთვის თავი კანენებინა და  
წარმოდგენები ემართნა. ამას წინად დ. ბორჯომში  
გამართა წარმოდგენა, რამაც ზარლის მეტი არაფერ  
მისცა ხოლო ამა მკათათვის 26 დ. სურამში აპირებდა  
წარმოდგენის გამართვას (იგ გომამ თლის „იასონი ოი-  
ნები“ უნდა დაედგა), მაგრამ წინაღობი უცებ სისხლი  
წაფარდნოდა პირიდან. ავ. დემყოფი მსახიობი ვინახულე  
მკათათვის 26, შალვა დადიანის ბინაზე; იმდენად იყო  
და უსტებული, რომ თითქმის ვერც კი ინძრეოდა, ხმა  
დაპკარგოდა... ძლივს მეფურუნებოდა თვის ამბავს ქართ,  
დრა მ. საზოგადოებისგან გასული თვის კრებაზე დანი-  
შნული მცირედ შესაწყევარი, თვითურად ხუთი თუმანი,  
დღემდე არ მიუღია, თურმე სასოგლად იკვებებოდა, ახ-  
ლაც არავეითარი ცხოვრების წყარო არა აქვს იმავე დღეს  
მოვიწვიეთ ექიმი ბ-ნი ამოლონ ლუკას ძე ტყემალაძე,

რომელმაც ავადმყოფი დიდის დაკვირვებით გასინჯა.  
და გვირჩია: რაც შეიძლება, მალე უნდა წაიყვანოთ  
აბასთუმანს, ანუ უკიდურეს შემთხვევაში, ცემს აუკვე-  
თეთ წარმოდგენებში მონაწილეობა, ხანგრძლივ ლაპარა-  
კი კი აწყენს, ერიდოს ყოველივეს, რაც აღელვებს ო.  
შა. ვკირვება სულიერი სიმშვიდე, სიწყნარე და წესიე-  
რი ნოყიერი კვება. ენენისთვის გასულს უმეველად  
აოხუმს უნდა გაიგზავნოსო.

ავადმყოფს თვეურად დასკირდება არა ნაკლები  
ხუთმეტი თუმნისა (150 მ.) შალიკაშვილს კი მხოლოდ  
თვეურად ხუთი თუმანი აქვს დანიშნული და ისიც არ  
ედღვა.

ამავე დღეს ავადმყოფი ინახულა ადგილობრივ  
დრამ. საზ-ის თავმჯდომარემ გ. შალიკაშვილმა და აღუ-  
უქვა: თუ სურამში დასტოვებენ ბინას უშოვიო, ხოლო  
თუ წაიყვანეს შევიწვიეთ რასმეო...

აგრძლვე წარმოდგენას გაუმართავს ხაშურის დრამ  
წრე და ნ. ჯიტიერთაც დაეხმარება.

ქართულ დრამატ. საზოგადოებათა გამგეობაჲ  
ეველებთ სანამ დროა ყურადღება მიაქციონ ავადმყოფ  
მსახიობს თორემ მერე გვიან იქნება!

„გადაპირილი მუხის“ და სხვა მრავალ ნაწარმო-  
ებთა ნიჭიერი ავტორი მეტი ყურადღებას ღირსია...

იოსებ არიმათიელი

## ქურდი

ანუ

კეთილის მყოფელი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30)

V

იგავე და მრეცხავი

ქურ. (იქით) მრეცხავი! (ხმა მადლა) რა  
გნებავს, ჩემო კარგო?

მრეც. აქტიორი აქა ცხოვრობს?

ქურდი. უენ უფრო კარგად არ უნდა  
იკოდვ?

მრეც. მე რა ვიცი? მე აქ პირველად ვარ.

ქურ. აქ... აქ... მეც როგორღაც ვერ გი-  
ცნობთ. სარეცხი მოიტანეთ?

მრეც. მოვიტანე.

ქურ. დადე.

მრეც. (კახათს იატაკზე დასდებს) როგორ  
მაღლა სცხოვრობთ, ძლივს ამოვედი.

ქურ. (დევანზე ჯდება) სარეცხი მაგიდა-  
ზე დააწყე, ჩემო ლამაზო.

მრეც. ესეც ანგარიში.



**ქურ.** კარგი, მერე გავსწორდებით.

**მრეც.** ქალბატონმა დამაბარა უფულოდ არ დატოვო!

**ქურ.** ქალბატონმა?

**მრეც.** დიხ. ეხლა ესეთი წესი შემოვიღეთ.

**ქურ.** ცული წესი შემოვიღიათ. მაიტა ანგარიში. (გამაართმევს და ვითხუფაბს) ათი პერანგი, ათი პერანგის ამხანაგი, 8 ჟილეტკა, 4 დიუტინი საყელო, ერთი დიუტინი თეთრი ჯალსტუკი... სულ 4 მან, და 80 კაპ. (გაქაბას შემოუფლის და დასუფავს) აქრცი მანეთის სარეცხი იქნება. (ამას) აბა, ხუთი მანეთი მიიღე. (მარცხნავ გადავა)

**მრეც.** ხელი მოვაწერო, რომ მივიღე?

**ქურ.** საქირო არ არის... სარეცხი დააწყე, ჩემო ლამაზო. მხოლოდ ლამაზად, არ დაქუქნო... (დევანზე დაჯდება)

**მრეც.** (საფლეტკას გადასწევს, რამეღიჯ კაღათს ხუჭავს. ამოადებს ერთ ძველ პერანგს და ერთ წვეთად ნასკებს, მაგიდაზე დასდებს და კაღათას დახუჭავს) ინებეთ.

**ქურ.** (წამოადგება) დანარჩენი?

**მრეც.** სულ ეს არის.

**ქურ.** (კაღათაზე უხუჩუნებს) როგორ თუ სულა? ესა?

**მრეც.** ეს სხვებიასა.

**ქურ.** დამიწინი თუ? მე ხომ ხუთი მანეთი მოგეცი?

**მრეც.** აქ სამი თვის სარეცხია ნაანგარიშევი... მშვიდობით. (მიდის)

**ქურ.** საით? არ გაგიშვებ.

**მრეც.** ხელი არ მახლო... ვინა გგონივარ?... ეხლავე ვიყვირებ...

**ქურ.** ეხლავე დამიბრუნე ფული!

**მრეც.** (გარბის) რა ეშმაკია! (კუფაისეში კიდევე მოისმის შისი სიცილი)

**ქურ.** (ერთ ხელში პერანგი უჭირავს, მეორეში ნასკები) ხუთი მანეთი ამ ჩეარში! შევიღე და ხუთი—თორმეტი!... დასაწყისი კარგია! უნდა ვეცადო როგორმე გაეინაღლა. (მიფარდება კამოდს, ამ ღროს გაიღება კარები და შემოდის სასტუმრის პატრონი ვაჭარა)

VI

იგივე და სახტუმროს პატრონი.

**სახტ. პატ.** (კუფაისეში კაღათსადასწევს) თქვენ

მანდ დადექით, თუ საქირო იქნება—დაგიძახებთ.

**ქურ.** ღმერთო!

**სახტ. პატ.** (შემოდის, დევანზე დაჯდება) ახტიორი ხარ?

**ქურ.** თქვენ აქტიორს ეძებთ?

**სახტ. პატ.** დიხ, ახტიორს.

**ქურ.** ის შინ არ არის.

**სახტ. პატ.** შინ არ არის? მაშ შენ აქ რას აკეთებ?

**ქურ.** მე მასთან საქმე... მაქვს აქ ველოდები...

**სახტ. პატრ.** საქმე გავს? რა საქმე?

**ქურ.** რა თქვენი საქმეა?

**სახტ. პატრ.** ჩემი რა საქმეა? მუდრეგ, სამი თვეა თურმე ქირას არ იძლევა. დღეს დაგბრუნდი. ნუხაში ვიყავი სადაპროდ... ფული გროში აღარ შემარჩა... როგორ თუ რა ჩემი საქმეა? ტყავი გავიძრობ და ჩემსას-კი ვაინაღლებ... შენც იმ ახტიორის ამხანაგი იქნები, რალა... ისეთივე შარლატანი ვინმე...

**ქურ.** თუ შეიძლება ენა დაიმოკლეთ.

**სახტ. პატრ.** ვა, ვა, ვა! რა ძალიან ცხარობ! მავითი გინდა შემაშინო? სთქვი რალა, ვინა ხარ... შენ აქ ასაწაზნად ხომ არ მოსულხარ?... იქნება ეს ჩემი იგვეგი უნდა ვაზილო? ეხლავე ბიჭებს დაუძახებ და ასე ვაგზდიან, რომ ძვალ და რბილს პარისსავით ავირევენ...

**ქურ.** გაჩუმდით, რა დაგემართათ? მე თქვენს ღმერთს არკვი ვიცნობ.

**სახტ. პატ.** მაშ აქ რას აკეთებ?

**ქურ.** საქმისთვის მოვედი.

**სახტ. პატ.** რის საქმე, რას მიჭარავ! პირდაპირ მითხარი რალა, რისთვის მოსულხარ?

**ქურ.** მინდა სამსახურში მივიწვიო.

**სახტ. პატ.** ჰა? მაშ შენ ატრევე... ატრევე...

**ქურ.** ანტრეპრენიორი ვარ... დიხ, დიხ...

**სახტ. პატ.** კეთილი! ეხლა სულ სხვანაირად ვილაპარაკოთ. ის სულ შენზედ მითითებდა, ფული უნდა მომიტანოს ჩემმა ატრევე...

**ქურ.** ანტრეპრენიორმა... (იქით) ღმე-



როთა ისლა მკლია, ფანჯრიდან ძირს ჩავე-  
შვა!

**სასტ. პატ.** მაშ იცი რას გეტყვი? ჯერ  
მე იმის ანგარიში გამიწორე და შერე საცა  
გინდა წაიყვანე. ის ფულიც ჯამაგირში გა-  
მოუბარე.

**ქურ.** ის თითონ მოგცემთ, ღღესვე მო-  
გცემთ. თქვენ მიბრძანდით, საცაა თითონაც  
მოვა. ჩვენ ერთად მოვილაპარაკებთ და თქვენ  
თქვენს ფულს მიიღებთ.

**სასტ. პატ.** რაო? აპროუფუნ, ღიახ!  
გინდა მომატყუო? ან ეხლავე ფული მომეცი.  
ან არა და იმის მოსვლამდე აქედან ფეხსაც  
არ მოგაცვლინებ... მე წამღვილი ვირი ვარ...  
რაკი ვსთქვი ფული ღღესვე უნდა გამოვარ-  
თვა მეთქი, მორჩა ჩემსას მაინც გავიტან.

**ქურ.** (ჩემოდანს აიღებს) რა უფლება გა-  
ქვთ, რომ არ მიშვებთ? მე თქვენთან არავი-  
თარი საქმე არა მაქვს. მე გადავიფიქრე და არ  
მინდა მეტი ვიცალო. (გადას)

**სასტ. პატ.** (წაშოდაგება) რაო? უკაცრა-  
აღ, ვერსად ვერ წახვალ! (კარგში) ბიჭებო!  
არ გაუშვით!.. ეს ამას რომ მიათრგე, ვისია?  
იქნება აქაურობა გაქურდვ და ეხლა გინდა  
ყვირილით და მუქარით თავი დაიძვრირო?..

**ქურ.** (აქით) ფუჰ! ეს საღ ჩავეარდი!  
(ამას) რამდანი გერგებთ?

**სასტ. პატ.** ეგრე არა სჯობია, შე დალო-  
ცილო? შენ ვინმე სულელი ხომ არ გმგო-  
ნე?

**ქურ.** სთქვით რამდონი გერგებთ, თქვე-  
ნთან ლაპარაკიც არა მსურს.

**სასტ. პატ.** სამი თუმანი მერგება.

**ქურ.** (აშოაღებს აქით) შვიდი, ხუთი და  
ოცდა ათი—ორმოცდა ორი მანეთი. იქნება  
კიდევ მოვასწრო და გავინაღლო. (ამას) მიი-  
ღეთ.

**სასტ. პატ.** მოიტათ... აი, ეგრე სჯო-  
ბია... ამას-კი გირჩევთ, ბევრი ფული არ მი-  
სცეთ, იმიტომ რომ რის აქტიორია, ტანისა-  
მოსიცი-კი არა აქვს... სულ ტარგოფრისკ მი-  
ჰყიდა.

**ქურ.** კარგი, კარგი... ფული ხომ მიი-  
ღეთ—ეხლა მიბრძანდით.

**სასტ. პატ.** უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი

რომ შეგაწუხებთ. რას იზავ, ანგარიშის კაცი  
ვარ... ჩემსას არავის შევარჩენ. (გადას)

**ქურდი.** (მარტო) ექსპროპრიატორი! (გაბე-  
ლებს აკარგუნებს) ოთხი თუმანი და ორი შა-  
ნეთი!.. ჩქარა საქმეს შეუდგეთ. (გამოდის ეუ-  
თებს შემტერებს. ჰარგულიდან გამოათრებს ძვე-  
ლს პერანგს, რამდენიმე სსუგლას და ფოტო-  
გრაფიულ სურათს) დასაწყისი ცუდი! (სურათს  
დახედავს) ფოტოგრაფია, და ისიც არა პიკან-  
ტური... (მეორედან აშოაღებს წერილებს, სა-  
ვარცხელს, ჩოთქს, სათამაშო ქაღალდს; მესამე-  
დან ძველ აფიშებს, ზედათურის წყლის პოთლს  
და გრამის კალოფს) ბევრ რამეს გადაყვი-  
რებ, მაგრამ ასეთს-კი არასოდეს! (მიდის, კა-  
რებთან შესვლას ფსევადებს)

VII

იგივე და ფხეილაძე.

**ქურ** (სწრაფად) თქვენ აქტიორი ფხეი-  
ლაძე გინდათ? სახლში არ არის, წავიდა, ექვს  
საათისათვის დაბრუნდება.

**ფხეკ.** ვინ წავიდა? მე წავედი?

**ქურ.** აა, მაშ თქვენა ბრძანდებით, ბ  
ფხეილაძე?

**ფხეკილ.** ღიახ, მე ის გახლავართ.

**ქურ.** ძლიერ სასიამოვნოა თქვენნი გა-  
ცნობა.

**ფხეკ.** თქვენ ვინ ბრძანდებით?

**ქურდ.** მე... შე ის გახლავართ, ვინც  
თქვენ გამო მთელი სამუშაო ღლე დაჰკარგა.

**ფხეკ.** აა, მესმის! კრედიტორი ხართ?

**ქურ.** არა!

**ფხეკ.** მაშ ვინა ბრძანდებით?

**ქურ.** ექსპროპრიატორი!

**ფხეკ.** ექსპროპ... ჩემთან? (მუხუხა) ოჰ,  
როგორ მებრალებით! (არაფე შეკლებს გაჭუჭღის)

**ქურ.** (ხელს ჩამოართმევს) სწორედ რომ  
ღირსი ვარ ხელი გამომიწოდოთ, რადგანაც  
მარტო დრო კი არა, ფულიც დევკარგე.

**ფხეკ** ფული დაჰკარგეთ?

**ქურ.** ღიახ. მე თქვენს მაგიერ მივეცი  
მრეცხავს, სასტუმროს პატრონს და სტამბის  
გაზეგს.

**ფხეკ.** ჩემს მაგიერად? რატომ?

**ქურ.** იმიტომ რომ მეგონა გავინაღლებ-



ლი, მაგრამ თქვენ არაფერი არა გქონიათ... არაფერი!

**ფხვკ.** დიახ, არაფერი.

**ქურ.** სულ არაფერი! არც ავეჯი!.. გამიგონეთ, აი რას გეტყვით—თქვენი სახლის პატრონი ვიღაცა ყაჩაღი ყოფილა. ძლიერ ბევრს განდევინებთ ამ სორაში,

**ქურ.** ბევრს? აბა რასა ბრძანებთ. რას მახდევინებს, რაც არაფერს ვიხილ...

**ქურ.** (აზიოხსრებს) ჰო, მაგრამ... თქვენს მავიერ სხევი იხილან!

**ფხვკ.** ეგ-კი მართალია! მაგრამ გამიგონეთ, თქვენ მგონია ფული გაქვთ?

**ქურ.** რასაკვირველია განა შეიძლება რამე საქმეს ხელი მოჰქიდო, თუ ძირითადი თანხა არა გაქვს?

**ფხვკ.** მაშ თქვენ ფული გაქვთ?

**ქურ.** ჩემს ხელობაში უფულობა შეუძლებელია. ჩემი საქმე წმინდა ხელობაა. დიდს გამოცდილებას და მხატვრულ გამოცენებას მოითხოვს... თანაც დიდს სიამოვნებას გაგრძობინებს. თქვენ არტ-სტი ხართ და შეგძლია ანთ ეს გაიგოთ. დღეს მე ვმუშაობ ამპირის სტილის მოწყობილობაში, ხეალ ლიუდოვიკ მეთუხთმეტისაში... თუ დამეთანხმებით ეს სილაზახეა!.. შემძლიან კიდევ გითხრათ, რომ მე დიდი მკოდნე ვარ... კოლეკციონერი გახლავართ... მაგრამ მე აქ ვლაქლაქებ და დრო კი მიდის... აბა, მივდივარ.. დღევანდელი დღე დამეკარგა... მაგრამ დიდის სიამოვნებით ვაგვიცნით.

**ფხვკ.** მიდინართ?

**ქურ.** დიახ.

**ფხვკ.** იცით რა... ჰმ!.. თქვენ ეს—ეს არის სთქვით, რომ ფული გაქვთ... არ შეგიძლიანთ საში მანეთი მასესხოთ?

**ქურდ.** გასესხოთ? რატომაც არა—ინებეთ. ეს ჩინებული შემთხვევაა ჩემს სიცოცხლეში.

**ფხვკ.** გმადლობთ... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დაგობრუნებთ.

**ქურ.** ოჰ, არა!

**ფხვკ.** რატომ?

**ქურ.** იმიტომ რომ, ვეცდები აღარ შე-

გხედეთ. (თავს დაუკრავს) მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გადის)

**ფხვკ.** (მარტო) რა ჩინებული ყმაწვილია! ეს ქურდი-კი არა, —ნამდვილი კეთილის მყოფელია!

**ფ ა რ დ ა**

**გრ. აბაკელია**

**რამკვიზიტი:**

აფიშები, გვ რგვინი ლენტით, სელტურის ბოთლი, პარიკი, კრასკები (გრამინა), ფოტოგრაფიული სურათები, სარუხის კორზინა, დაუთოებელი პერანგი და ნასკები, პატარა საკვოიავი, ქურდის იარაღი: ჩაქური, პატვიორტკა\*, სტამესკა, ანგარიშები, ქალაღდები ფული

**ხელაუნების მოკლე ისტორია**

**სამხატვრო მრეწველობა. ქანდაკება.**

ფინიკიელები დიდხანს პატრონობდნენ სქელთა შუა ზღვის და ამ საქმეში მთავარი ხელმძღვანელობა ხან ქალაქ სიდაონსა ჰქონდა და ხან ტიროსს. შემდეგ მათი ძლიერება დაქისო. სხვა რუმბა დაიპურეს ზღვა, დასახლდნენ კუნძულებზე ბერძენთა და ეტრუსთა ფელტს ანკარაშის ცაწევა დასჭირდა. მაგრამ მიუხედავად ამისა ფინიკელები ახლდენებმა ჩრდილოეთ აფრიკაში კართავენას კიდევ დიდხანს იარსება და ბოლო მხოლოდ რომმა შესძლო მისი დამხობა. სოლო მათი ძლიერების დროს ფინიკელებმა თავიანთი დაწესებულებანი მოჭვიანეს მთელ სქელთა შუა ზღვის სხანპიროებს, პონტოს ზღვიდან დაწეებული ეპორაღტარის განავაღმდე. ანკარებით ამოძრავებულ გაბეღულებს ისინი თვით მამინდელ დროისთვის საშიშარ თქეანემდე მიჭვიდა; ჩრდილოეთით ბრეტანამდე აღწვდნენ და სამხრეთით აფრიკას უფიღანენ. ესეთ დიდ მოცაურობას დროს ისინი უხვად სარგებლობდნენ ყოველ ქვეყნის სიმიდროთა, ისინი მიდიოდნენ რომ ბრინჯაოსთვის კალა მოკეპონათ, იტრებდნენ თვით ახალგაზდა ქალწულებს და ბავშვებს, რომელთაც შემდეგ მონებით ჰქოღდენ; სამავიეროთ გაჭქონდათ, როგორათც





თავის ნაწარმოებები, ისე თბახს, ნინუიასა და ბა-  
ბილანს ნაყიდი საქონელი. იმათი შუახებით  
დასაუღეთს აღმოსავლეთთან დამოკიდებულება  
ჭქონდა.

ხელოვნური ნაწარმოები იმათ საქონელში  
იბრტომ კი არ ურია, რომ მხატვრული გემოვნება  
დიდათ განვითარებული ჭქონდათ, არამედ  
მისთვის, რომ მისთვის იტობა აეთ. ზღასტიურ  
ხელოვნებაში ისინი უფრო ეგვიპტელებს და  
ასურელებს ბაძუნენ და თავის თავადკი არა-  
ფერი არ შეჭქონდათ აღმოსავლეთის გაუნათ-  
ლებელ ხალხს დიდათ უფროსთ დმურათების გამო-  
სახულება, ფინიკიელებიც მათთვის ესთ სავაჭ-  
რო „დმურათებს“ ბლომათ ამხადებდნენ. თან ამ  
საქონელს ბრინჯაოს ღარნაკს, მინის ჭურჭელს,  
რომელთა კეთება მართლად ხელოვნურად იგო-  
დნენ, თან მიატანდნენ ხოლმე, შემდეგში, უფრო  
გვიან, როდესაც ბერძნული ხელოვნება განვითარ-  
და, ისინი მაინც შამბძეველებათ დასწენ და  
ესხდა ბერძნული ხელოვნება ცადმოიღეს, რო-  
ტორც წინეთ ასურული და ეგვიპტური.

ფინიკიაში ურსოელი ეტაშენტიკი ურია და  
ამიტომ მათ ქანდაკებებში სტილი არეულია.  
თვით სირიაში ბგერი ისეთი გამომწვარა თიხა  
და სარკოთეებია იმაფენს, რომელთაც ღამაჩანის  
სხუელის ნივთიეებს ჭქონდათ და ანტროპოი-  
დებათ იწოდებოდნენ. უოგელ ამ ნაწარმოებში  
შინც თავის თავად არაფერი არ არის, თათ-  
ქი მათ შემქნელთ აზრათაც არ მოსულიათ—  
დაიწყათ მსჯავსება და თვითონ ტამიც მათ-  
მოდებინას. კინრსისზე, სხადც უამრავი ნაქანდა-  
კები აღმოხნდა, სტილი შეცვლიდა. ჩესრა  
დას მიერ აღმოხნილ დიდ სტატუებთ შორის ტა-  
ნისამოსი, თმის დაყეება და დასუტუტებულ იწე-  
რი სშირად ასირიულ ბარელიეფებს ემცასვება,  
მაგრამ აქ უკვე შიბაფა აღარ არის, აქ შიდა  
ღირბა, წყრალბნების ჩამაწვეუთვა უფრო  
სუბქია, უიარე ასირიულ ბარელიეფებში. ეგვიპ-  
ტურებზე ეგვიპტის ცავლენით შექმნილ ნაწარმო-  
ებთ, იმათაც ბერძნული სუელი დატობათ. ეს  
ბერძნულიბა თვით ნაკეთთა გარიგებულობასაც  
ეტობა, სახის გამოერთეველებას და სწორედ  
ამიტომაც არის საუფრადლებო ეს კინრიატობა  
ხელოვნება, სხადც ერთი მუარეში არეულია აზი-  
ური და ელინური შემოქმეება. თუმცა ესეც

უნდა ითქვას, რომ შემოხსენებული ნაწარმოებნი  
სულ სხვა და სხვა ენაქვის ეგუთხანან. დმურთათ  
სტატუებ შორის კინრსისზე სშირად შეხვდებით  
ასტარტას ქანდაკებასაც, ქურუმბასა და დმურ-  
თების თაყუანის შტეშელთა გამოსახულებასაც.  
იმათ კი მისდევს აურებულა ტრიაკობა. ესევე  
ხასიათი აქვს ფინიკიისა და კინრსისს მხატვ-  
რულ მრწველებლის ნაწარმოებს: მეჭურჭლეობა-  
სა. ქსოვილებისა და ძვორფას თვლებს ხელოვნ-  
ებას. ფინიკიელებს შირველად მიატენს და სა-  
დაფიდან გამოიღეს მქანბული თვრა, რომელთაც  
ქსოვილებსა ღებუნენ შუშის კეთების გამო-  
ტანებას აგრეთვე ფინიკიელებს აქურენ, მაგრამ  
აღმოხნდა, რომ წინეთ ეს საქმე ეგვიპტელებ-  
საც სცოდნათ, თუმცა ფინიკიელებში მისი კე-  
თება უმაღლეს ხარისხამდე აიყუანეს და მათი  
ფრადი შუშეული შქსამხნევი რამ არის. საკვი-  
რველად ხასხასად და გამოხუხნებულ საღებოთ  
არის შეფარდებული. დასარულ უნდა ითქვას,  
რომ ფინიკიელებში თუმცა ცობტა რამ შექმნეს,  
მაინც ხელოვნების განვითარებაში შესამხნევი  
ღვაწლი მიუძღვის.

*მეჭურჭლეობა*

### წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ.

დიდი თანაგრძნობა მიიპოვო ქართველ  
მაჰმადიანებში იმ ლექსმა, რომელსაც ქვემოთ  
მოგახსენებთ. გთხოვთ უცვლელად დაბეჭდოთ..  
ამასთანავე ძლიერ კარგი იქნება, რომ ესე-  
ვე ლექსი ჩვენს მუსიკის მცოდნეებში ნოტებ-  
ზე გადაიღოს სასიძღვროთ, ძლიერ მოსწონთ  
აქაურებს ისეთი ნაწარმოები, რომელიც იმათს  
ცხოვრებას შეეხება. ნოტებზე გადაღებული  
ახლო მომავალში ადვილათ გავრცელდება  
ეს ლექსი ჩვენს თანამომთეთაშორის. აი თვით  
ლექსიც:

„შემან დრომან დავაშორა  
ქართველებსა მათი ძმები,  
ერთი ტპილი დედის შვილინი,  
ერთი აკვანში დაზრილილები,  
ერთად მზრძოლნი შავებდითანა,  
გმირულ სისხლთ შესვრილები;

მესხნი, შავშელ-ერუშენი,  
ქობულენი, აქარლები.  
რაც დავშორდიო, იმას მერე  
მათკენ რბოდა ჩვენი გული,  
და იმათთან შეერთებას  
ვინატირდიო დანავრული...  
ბოლოს ბედმა ვაგვიღიმა,  
შევვისრულდა მისწრაფება,  
და— გვეღირსა ღვთის წყალობით—  
ჩვენს ღვიძლ ძმებთან შეერთება.  
მუდამ ოხრავს, ვინც წყვიდა  
ჩვენთაგანი უცხოეთში,  
მიატრევა თვის სამშობლო,  
ვადასახლდა ოსმალეთში.  
იქ ვერ ნახა ამისთანა  
დალოცვილი ტურფა მხარე,  
და სამშობლოს დამკარგავსა  
თვალთაგან სდის ცრემლი მწარე  
სიკვდილის წინ გარდასვეწილთ  
თვის სამშობლო აგონდებთ,  
თვალთ წინ უღვათ მის მთა-ბარი,  
აქ სიკვდილი ენატრებათ.  
სწყველიან თვის გაჩენის დღეს!  
გვიანდა სინანული!  
ყოველთვის ვერ გამობრუნდეს  
საქმე ერთხელ წაგებული!  
არ დაესტოვებთ ჩვენს სამშობლოს—  
ამა-პაპის სისხლით შორწყულს,  
თამარ მეფის ნაამეფარს,  
მისგან ლმობილს და კურთხეულს!  
აქვე არის დანარხული  
ჩვენი მამაპაპის ძელები,  
და სამშობლოს დამტოვებელს  
სწყუევლის მათი საფლავები.  
რადგან მოღვმით ქართველნი ვართ  
და ომალნი არ ვართ ჩვენა,  
ქართველების ენა არის  
ჩვენი ღვიძლი ღედა ენა...  
ამ ენაზე მეტყველებდა  
დიდი თამარ დედოფალი,  
და ამ ენას არ დაჰკარავს  
ჩვენი ძე და მომავალი...  
ამ შეგნებით ვეგებებით  
დროთა ბრუნვის ჩარხის ტრიალს:  
ის წამებულთ გზას გვიანთებს

და გვიქადის სხვა მომავალს...  
იქ სჩქედს წყარო ცხოვრებისა  
იქ მოგველის ბედი ტკბილი...  
და უკან კი წყველილია...  
სამარეა და სრკელია“!

შენი მეგობარი ჩაქუჩი

### დამიტარი შიშინის სახელობის სამკითხველთა კვირეული

აჭა, ძლიერ შეღირსა და ჩვენი დიდებულ  
მამულიშვილის დამიტარი უფიანის ოჯახს მივარ...  
სახლი შეუკვლ სოფელშია, მადლობაზე წაშა...  
დემულო გასტყერის შოფს ველ-მინდვრებს: ცალ  
მხრივ ბორჯომის ხეობა, უკან ტყე—ირგვლივ  
საუცსოვო სანახობა...  
გზივარ ნეტარსხენებულ დამიტარისეულ სა-  
ვანძელში და ვსწერ იმავე მაგიდაზე, რომელზე-  
დაც დამიტარი თაფისა ისტორიული წერილი  
მისწერა პავლე ექსარხისას საქართველოს დაწვე-  
ვლისა გამო... გულად ფანტაქლებს და რადაც  
შეკრძალებს გრძობას მიმურობს: ჩემს წინ აღი-  
მართა სულიერი სსხე დაიდა და მანისა...

30 წელიწადი გავადა, რაც ეს პატარასანი  
მამულიშვილი მხაკვარსა ხელმა სიღატაკეს გა-  
მოსაქლმა, ის აღმამანი რომელმაც ჩვენს ყოველ-  
კვარ საზოგადოებრივ—საეკლესიო-საფინანსო  
საქმეს საფუძველი დაუდო და მისი სახელობის  
პირველი წიგნთ-საცავ სამკითხველო მისს სოფე-  
ლში მხოლოდ ახლად დაფუძნდა.

კვირის, 24 მკათავეს, წირვის შემდეგ  
ქვეშეთის ეკლესიაში ადგილობრივ ინტელიგენ-  
ციისა და გლეხების თანდასწრებით მანაშვილი  
გადიხდეს დამიტარის სულის მოსახსენებლად. მან-  
აშვილის შემდეგ საშურის მღვდელმა ს. სა-  
ლარიძემ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა: სა-  
ღეს დაუხსნათა დამიტარის ცხოვრება—მოღვა-  
წეობა და აუხსნა მისს სახელზე დაფუძნებულ  
წიგნთსაცავ—სამკითხველთა მნიშვნელობა შე-  
მდეგ შემოსილი სამღვდლოება (გალობათ) და სა-  
ღესი გაუმართა მადლობაზე მდგარ სამკითხველო-  
სკენ. მას გარე ამკობდა ფოთოლანარის ხეყულები,  
შინაით—დამიტარი უფიანის ვუება სურათი, ფო-  
თლით და სამკლოფიარა არშაით მორთული. წი-  
გნთსაცავი დაფუძნებულა ქ. მ. წ. კ. ს. სახელზე ად-  
გილობრივ ინტელიგენტ. მიერ. შესწირეს: კ. დ. კუ-





ფიანმა 200 მ. ქართულ რუსულ წიგნები, კაკლის ხის შავიდა, სწორელი; წ. კ. ს. ათი თუხინს წიგნები, იოს. იმედაშვილმა—თელი 1915 წ. კომპლექტი ოთხტრი და ცხოვერება და სხვა და სხვა წიგნები, სულ 8 მ. 30 კ. კიდევ მრავალი წიგნი შეწრული სხვათაგან. წიგნთსაცავსამკითხველს კურთხევის შემდეგ სიტყვებში წარმოსთქვენ: 1) ქ. შ. წ. კ. ს. ხ-ხის მხრით გრ. ბურჭულაძემ—აუხსნა მინიშნულობას წიგნისცავს—სამკითხველსა, ჟურნალ—განუთების და საზოგადოდ, განუბრძოვ განხორცილების 2) იოსკი იმედაშვილმა: ჟურ. ოთხტრი და ცხოვერების სახელით მიუღობ, უსურვა წარმართება განმარტა ჩვენი ხალხის განუბრძოვი ჩამორჩენილობის მიზეზი და თვითგანვითარების საჭიროება შეიღებო. ბურჭულაძისმითხრონიდებისმაგებრ შესდგა დამსწრე საზოგადოების კრება.

თავმჯდობარობდა ნ. ბ. უიფიანისა, მდივნ. ს. გაბუნია. კრებამ დადგინა: უთველმა წგონებში შემოიტანოს არა ნაკლებ ათი შურისა წლიურად, უთველწლიურად გამართოს რამე განართობი და სამკითხველს სასარგებლოდ. გამკობისში არჩულ იქნენ: ნ. ბ. უიფიანისა, ალ. კ. გვერდწითელი, ეპატ. ზაზა უიფიანის ასული (იგივე გამეგ სამკითხველსა), ლევ. ციმაკობიძე, გლეხთაგან—ლენტილ მჭედლიშვილი, მისა მარამაძე. გაბო მამაცაშვილი. მათი კონდიტები—დათება კეკელია, გ. კეკელია, მდ. მთიულიშვილი, დ. ნემსაძე; სარეკობით კომისია: მ. ქ. უიფიანი, ზავ. გიციტაშვილი, ა. შ. ციმაკობიძე; მათი კანდიდატები: გ. ქადაგაშვილი—ბუღალთელი, კ. ჯაფარიძე.—აქვე ჩაწერენ წვერები და ერთდროულად შეიტანეს ხუთ-ხუთი მან. თ გ. ბ. დგებუაძემ, კ. ჯაფარიძემ, თ ჯაფარიძემ, ერ მ. ფურცლავაძემ; სამხამი მანეთი ალ. მიქაბერიძემ, ნ. გ. ჯაფარიძემ, ვლ. უიფიანმა, გ. თ. ჟორდანიამ, გაბ. მამაცაშვილმა, სოფ. გაბაშვილსამ, **ორ-ორი მან.** იულია მიქელაძემ, ალ. კეკელიასამ, **თითო მან.** — ანა გაბაშვილმა, მდ. ს. სვლარიძემ. თამარ მამუკაშვილი და სხ.

შემდეგ კ. დ. უიფიანის თანხმით გამართოს ნადიმი, კ. ჯაფარიძის ტელეფონშიმით. აქედ მრავალი სურვადღებო სიტყვა თქვა. ილაშარაკეს: გრ. ბურჭულაძემ, კ. ჯაფარიძემ, ს. გაბუნამ, მ. მირზაშვილმა გ. ჟორდანიამ, მ. ქ.

უიფიანმა, იოსკი იმედაშვილმა და სხ. ცეკვა-სიმღერა ერთმანეთს სცვლიდა. უმეტ მოასმა ვანო ხარჭიშვილისებური მომხიბლავი სიმღერა,—ეს იყო ხალკაზა და ხელაგანი მ. ქაიურელი, რომელიც ტანით დაჯილდოვებს. წიგნთსაცავის კურთხევას დაესწრენ: წ. კ. ს. მხრით გრ. ბურჭულაძე და ს. გაბუნია, ქართ. კულტ. მოფ. საზ.—გ. თ. ჟორდანიას, ოთხტრი და ცხოვერებისა რედ.—იოსკი იმედაშვილი, ადგილობრივი ინტელიგენცია და გლეხობა. კურთხევას დღესასწაულსაბრძოვი ელფერი ელო. ვუნატრით ჩვენი მამულისშვილის დამიტრის სახელმწიფოს სამკითხველს ჩქარა ნათფივი გამოვლეს: ეს ასეც იქნება, თუ სოფლის მოწინავე მონა და ხალხი ხელს ხელს მისცემენ და სამკითხველს გამეგებ—მასწავლებელი ეპატრიანი ზაზა უიფიანის ასული ბუგათად მოეკიდება საქმეს.

სტუმარი.

### ხალხური სიბრძნე

გურიისში შეკრებილი ანდაზები

ყორიფელი სტყუა,—ამხანაგობა არაო. რაც არ გვეზნოსო, იგი გვეზნოსო. სტამბოლს ვირი კონტრათაა, ჯორი საგძლიად მუუნდობა. დათემა რომ მოგერიოს „ბაბე“ უთხარიო. შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე. ინდიშვილი, მინდიშვილი, რაც დედამა, იგი შვილი. ურჩი მუშვი ნებასო, ვაღიყრება სნეზასო. საცერის მათხოვარმა სადილს მოუცადაო. რა კვტარი-რა შინ მოუსვლელი. ძალი ძვალს არც ეხრებოდა, არც ეყრებოდაო. რა ციხის იმედი გქონდეს, იგი ციხე დეიქცესო. სამაძეა მკვტარი წაწყმენდილიაო. კაი ბიჭი შორიდგან ვაბედავსო. მართლის მიქმელს ნიკარტი მოსჭერსო. თარი თხის ვარესი გელმა დაჭამაო. ასი კაცი ცენს ჭკადებდა:—„ვი, უკაცურობასო.“

გიორგი ლომთათიძე

# წვერილი ამგავი

← **ქართ. მოღვაწეთა აპარატის** სასარგებლოდ ამ მოქმედ ხანში წალვერში სიერბოა გაიმართება.

← **თედო სანაქია** თავის ცოლშვილით ცემში ცხოვრობს

→ **მ. ზღანდია** (მ. მაიაშვილი) ეს ერთი თვე მძიმე ავადმყოფია, სიღამულ დაბარინია, ენა დაბნია. მისი ავადმყოფობა საერთო მწუხარებას იწვევს.

← **ბორჯომში** ი. შიშიის ბანაშვილის ამ მოქმედ ხანში გაიმართება.

← **სუბაშში** სამშაბათს, 2 აგვისტოს ადგილობრივ კლუბის ცენაზე იუზუ ზარალიშვილის მონაწილეობით გაიმართება სამხიარული საღამო სხვათა შორის მონაწილეობენ ზაშურის სცენის მოყვარენი ალ. კობახიძე, კალაძე, მ. კვლიაშვილი, ვ. სხილაძე და ნ. იხარულიძე.

**3. შალაპაშვილის** ავადმყოფობის გაძლიერების გამო სურამში მისი მონაწილეობით დანიშნული წარმოდგენა გადაიდო.

← **ბათუმში** კვირას, 31 მაიათვეს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ან. კავთელისა და ივ. ბარველის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პოლ ერვის ცნობილი პიესა „ბრწყალვები“ და ვოდვეილი „ვინ უბოძს“ აბათს 6 მარიაშობის თვეს, მსახობი რეჟისორის ივ. ბარველის საბუნებისოლ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე: „მართლმსაჯულების ხელში“, თარგ. გრ. აბაკელასი

← **ბარდაიძე** ალ, ნათაძე და გ. ლომთათიძე, დაწვრილებით შემდეგ,

## მეგობარი მეტიშვილი

„თეატრი და ცხოვრება“-ს

(ეურნალის ფონდი)

### ქალბატონო რედაქტორო!

ამ სისხლის წვიმების დრას ცხვარება უკუღმა შეტრიალდა და უუკლავური საჭიროა მასალა ერთი ათად გაძვირდა. ქადაღი ხომ სწორად იცნობს, რის გამოც სწავიერთა თუწრნაღ-ღაცეების გამოცემა შეჩერდა. ამიტომ ჩვენ ვათასებთ თქვენს და თქვენი ძვირფასი შეკუდიან

შრომის, რისთვისაც ნიშნად თანაგრძობისა და მატეისცემისა გასაღებთ ჩვენს წვლიან თქვენი თუწრნაღის სისრებებოლ, რომლის არსებობა ბუნდალები საჭიროა ქართველი ხალხისათვის. იმედი გვაქვს, სხვებზე არ დაიშორებენ თავიანთ წვლიანს და ჩვენს გამოცხადებას მსარს დაუჭერენ.

ივანე სვიმონიშვილი, ეფრემ გოგიბერიძე, ივანე სურგულაძე, ნიკოლოზ ლეკიშვილი, ვა... ვ... ძე (ვერ გავარჩიეთ), მიხეილ სხირტლაძე, ხარიტონ სურგულაძე, რუბენ ჯუფახიძე, ვანო მაჭავარიანი, კალისტრატე სათიშვილი—თათო მანეთი, პარმან სირაძე, ივანე ჯიგუტი—ათათი შაური,

სულ 11 მანეთი.

# ახალიკლუბი

1 კვირის პრიზი 31-7 აგვისტო

ორშაბათი—რუსული ოპერეტა

სამშაბათი—სიმფ. კონც. რასტრატოვის

ოთხშაბათი—სიმფ. კონ. ბელსის ბენფლისი

ხუთშაბათი—ქართ. წარმ. (უფას); სახანდარი

პარატა.

შაბათი—სიმფ კონ. სარაჯიშვილის მონაწი.

კვირა—საბავშო საღამო, მუს.სინფორ.

დასაწყისში: კონცერტებისა საღამ. 3 სათა.

წარმოდგენისა და სინფორტოგრა. საღ. 8 1/2 სასწამსაშველში ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტულენტები (ფორმ.) 6ნ კ. მამაკაცები 1-05 კ.

# ხარკუხის საზოგადოებრივი კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 31-7 აგვისტო

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; სახანდარი.

ორშაბათი—სინფორტოგრაფი; საშ. მუსიკა.

სამშაბათი—სინფორტოგრაფი; სიმეზანი ორკ.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა; ბალ-სამხედრო—მუსიკა

ხუთშაბათი—სინფორტოგრაფი; სახანდარი.

პარატამში

შაბათი—ოპერეტა

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; სახანდარი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი